ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
Газета выходит с 1926 года.

№ 3 (2046) 19 იანვარი, შაბათი 1985 წელი. ფასი 2 კაპ.

## ფრიადოსანი პროპაგანდისტი



**სსრ კავშირის კომპარტიის XXVI ყრილობის მასალებისა და ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების პროპაგანდისათვის, შინაგან საქმეთა ორგანოების პირადი შემადგენლობის იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივ აღზრდაში მიღწეული მაღალი შედეგებისათვის, პოლიტიკური სწავლებისა და მისი ეფექტურობის ამაღლებისათვის „სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფრიადოსანი პროპაგანდისტის" სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდა ქ. ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის შს ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი აკაკი გიორგის ძე თევდორაძე.**

აკაკი თევდორაძემ 1966 წელს საშუალო სკოლის დამთავრების თანავე მუშაობა დაიწყო ქუთაისის საავეჯო ფაბრიკაში, მუშად.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ იგი დაუბრუნდა აღნიშნულ ფაბრიკას. 1971 წლიდან ა. თევდორაძე ქ. ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია.

სამი წლის შემდეგ კომკავშირულ სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით ა. თევდორაძე ქუთაისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანაშია.

1977 წელს საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის რეკომენდაციით, ა. თევდორაძემ მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა ორგანოებში, კერძოდ ქ. ქუთაისის შს სამმართველოს პოლიტ-აღმზრდელობით განყოფილებაში ინსტრუქტორად. 1980 წლიდან კი იგი შს სამმართველოს პოლიტ-აღმზრდელობითი განყოფილების უფროსად ინიშნება.

1983 წლიდან დღემდე ა. თევდორაძე ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის შს ქვეგანყოფილების უფროსია.

მილიციის კაპიტნის, ა. თევდორაძის ქვეგანყოფილების პირადი შემადგენლობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ გასული წლის საანგარიშო პერიოდი წარმატებით დაამთავრეს. შემცირდა სისხლის სამართლის დანაშაულებათა რიცხვი, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის, ყაჩაღობის, ძარცვისა თუ სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების შემთხვევები.

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს განსაკუთრებით სამიშ დანაშაულობათა გახსნამ შეადგინა 100 პროცენტი.

# დიაწერილი

## მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებს

**ჩვენ,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების კოლექტივებისაგან, სასწავლებლებისა და ჯარის ნაწილებისაგან, აგრეთვე საოლქო წინასაარჩევნო თათბირებისაგან მივიღეთ წერილები და დეპეშები, რომლებშიც გვატყობინებენ, რომ დაგვასახელეს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად მთელ რიგ საარჩევნო ოლქებში და გვთხოვენ დავთანხმდეთ კენჭი ვიყაროთ ამ ოლქებში.

გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებს, არმიისა და ფლოტის მეომრებს, ყველა ამომრჩეველს, რომლებმაც მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად დაგვასახელეს და მხარი დაუჭირეს ამ დასახელებას. მადლობას მოგახსენებთ პატივისა და დიდი ნდობისათვის, რასაც მთლიანად მივაკუთვნებთ ჩვენს ლენინურ პარტიას.

კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატების ერთსულოვანი დასახელება მოწმობს, რომ ურღვევია საბჭოთა ადამიანების შეკავშირება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო, რომ ურყევად უჭერენ მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, პლანეტაზე მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება, რომ მშრომელები აქტიურად იბრძვიან პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ეს ერთხელ კიდევ მკაფიოდ მოწმობს ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი მეგობრობისა და ერთიანობის გამარჯვებას.

თავიანთ მიმართვებში შრომითი კოლექტივები გვატყობინებენ, რომ მიაღწიეს მაღალ წარმატებებს, რომ 1985 წლისათვის კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებსა და შემხვედრ გეგმებს, ახორციელებენ რა პატრიოტულ საქმეებს, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ზეგეგმითი ეკონომიის ფონდების შექმნის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებისათვის. პარტიის მოწოდებას, ღირსეულად შევასრულოთ ხუთწლედი, დავაჩქაროთ ეკონომიკის ინტენსიფიკაცია ფართოდ გამოეხმაურნენ მასები. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს რწმენას, რომ საბჭოთა ადამიანები მაღალი შრომითი მიღწევებით აღნიშნავენ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალ XXVII ყრილობას.

რამდენადაც თითოეულ ჩვენგანს შეუძლია კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გვირჩია დავთანხმდეთ კენჭი ვიყაროთ შემდეგ საარჩევნო ოლქებში:

**კ. უ. ჩერნენკო** — კუიბიშევის საარჩევნო ოლქი, ქ. მოსკოვი, რუსეთის სფსრ.

**ჰ. ა. ალიევი** — ცენტრალური საარჩევნო ოლქი, ალტაის მხარე, რუსეთის სფსრ.

**მ. ს. გორბაჩოვი** — კიევის საარჩევნო ოლქი, ქ. მოსკოვი, რუსეთის სფსრ.

**ვ. ვ. გრიშინი** — ვეშნიაკოვსკის საარჩევნო ოლქი, ქ. მოსკოვი, რუსეთის სფსრ.

**ა. ა. გრომიკო** — კალინინგრადის საარჩევნო ოლქი, მოსკოვის ოლქი, რუსეთის სფსრ.

**ვ. ი. ვოროტნიკოვი** — კრასნოოქტიაბრსკის საარჩევნო ოლქი, ვოლგოგრადის ოლქი, რუსეთის სფსრ.

**დ. ა. კუნაევი** — ბაკანასკის საარჩევნო ოლქი, ალმა-ათის ოლქი, ყაზახეთის სსრ.

**გ. ვ. რომანოვი** — სმოლნის საარჩევნო ოლქი, ქ. ლენინგრადი, რუსეთის სფსრ.

**მ. ს. სოლომენცევი** — მიასის საარჩევნო ოლქი, ჩელიაბინსკის ოლქი, რუსეთის სფსრ.

**ნ. ა. ტიხონოვი** — ფრუნზეს საარჩევნო ოლქი, ქ. მოსკოვი, რუსეთის სფსრ.

**ვ. ვ. შჩერბიცკი** — ბაგლეისკის საარჩევნო ოლქი, დნეპროპეტროვსკის ოლქი, უკრაინის სსრ.

**პ. ნ. დემიჩევი** — კიროვის საარჩევნო ოლქი, იაროსლავლის ოლქი, რუსეთის სფსრ.

**ვ. ი. დოლგიხი** — ნოვოლიპეცკის საარჩევნო ოლქი, ლიპეცკის ოლქი, რუსეთის სფსრ.

**ვ. ვ. კუზნეცოვი** — ელექტროსტალის საარჩევნო ოლქი, მოსკოვის ოლქი, რუსეთის სფსრ.

**ბ. ნ. პონომარიოვი** — საქარხნო საარჩევნო ოლქი, სარატოვის ოლქი, რუსეთის სფსრ.

**ე. ა. შევარდნაძე** — რუხის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ.

**ვ. მ. ჩებრიკოვი** — ლენინის საარჩევნო ოლქი, ზღვისპირეთის მხარე, რუსეთის სფსრ.

**მ. ვ. ზიმიანინი** — რკინიგზის საარჩევნო ოლქი, ვორონეჟის ოლქი, რუსეთის სფსრ.

**ი. ვ. კაპიტონოვი** — პოდოლსკის საქალაქო საარჩევნო ოლქი, მოსკოვის ოლქი, რუსეთის სფსრ.

**ი. კ. ლიგაჩოვი** — ავტოსაქარხნო საარჩევნო ოლქი, კუიბიშევის ოლქი, რუსეთის სფსრ.

**ნ. ი. რიჟკოვი** — საქარხნო საარჩევნო ოლქი, ნოვოსიბირსკის ოლქი, რუსეთის სფსრ.

**კ. ვ. რუსაკოვი** — პროლეტარსკის საარჩევნო ოლქი, როსტოვის ოლქი, რუსეთის სფსრ.

ვთხოვთ შესაბამის საოლქო კომისიებს ეს წერილი დოკუმენტად მიიჩნიონ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის დროს.

**კ. უ. ჩერნენკო**
**ჰ. ა. ალიევი**
**მ. ს. გორბაჩოვი**
**ვ. ვ. გრიშინი**
**ა. ა. გრომიკო**
**ვ. ი. ვოროტნიკოვი**
**დ. ა. კუნაევი**
**გ. ვ. რომანოვი**
**მ. ს. სოლომენცევი**
**ნ. ა. ტიხონოვი**
**ვ. ვ. შჩერბიცკი**
**პ. ნ. დემიჩევი**
**ვ. ი. დოლგიხი**
**ვ. ვ. კუზნეცოვი**
**ბ. ნ. პონომარიოვი**
**ე. ა. შევარდნაძე**
**ვ. მ. ჩებრიკოვი**
**მ. ვ. ზიმიანინი**
**ი. ვ. კაპიტონოვი**
**ი. კ. ლიგაჩოვი**
**ნ. ი. რიჟკოვი**
**კ. ვ. რუსაკოვი**

### ადამიანი, გზა, ტრანსპორტი

# ტენდენციები რომ ტრადიციებად იქცეს

**გვესაუბრება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი**

**გ. გვეტაძე**

**1983 წელს** რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებმა მოსახლეობას მიჰყიდეს 17.967 მსუბუქი ავტომანქანა. იმავე წელს საქართველოს სსრ მცხოვრებლებმა სხვა რესპუბლიკებში შეიძინეს და ჩამოიტანეს 13.066 მსუბუქი ავტომანქანა.

1984 წელს სავაჭრო ქსელის მეშვეობით გაიყიდა 17.347 ავტომანქანა (620 ავტომანქანით ნაკლები). ინდივიდუალური წესით სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოიტანეს და საქართველოში აღრიცხვაზე აიყვანეს 15.216 ავტომანქანა (2.150 მანქანით მეტი).

სულ ამ ბოლო ორი წლის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკას შეემატა თითქმის 30 000 დაუგეგმავი, გაუთვალისწინებელი ავტომანქანა და ყოველმა მათგანმა მოითხოვა დამატებითი საწვავი, სათადარიგო ნაწილები, აღჭურვილობა, მოითხოვა საავტომობილო გზების, ავტოსადგომების გეგმით გაუთვალისწინებელი მშენებლობა და გაფართოება.

— ასეთი მდგომარეობა უკვე მოუთმენელი გახდა, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტმა **გ. გვეტაძემ.** — დამატებითი შენახვისა და მოვლის ხარჯების გარდა, გაუთვალისწინებელი მანქანები მნიშვნელოვანწილად ართულებენ ავტოტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციას, უარყოფითად მოქმედებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრების გადაყვანასა და ტვირთის გადატანაზე, დამატებით სირთულეებს უქმნიან ავტოინსპექციის მუშაკებს.

ჩვენი რესპუბლიკის მთავრობამ გაითვალისწინა ყოველივე ეს და მიმდინარე წლის 15 იანვარს სრულიად საფუძვლიანად გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმადაც საქართველოში 1 თებერვლიდან 1986 წლის ბოლომდე დროებით იკრძალება სხვა რესპუბლიკებში შეძენილი ავტომანქანების ჩამოტანა და რეგისტრაცია.

ასეთი განკარგულების გამოცემის აუცილებლობა გამოწვეულია იმ დიდი სირთულეებით, რომლებიც დაკავშირებულია მთელ რიგ პრობლემებთან. კერძოდ, რესპუბლიკაში უაღრესად გართულდა ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფა. როგორც ცნობილია, ეს ნაწილები იგეგმება საბაზო ფონდის მიხედვით და, ბუნებრივია, არ ითვალისწინებს რესპუბლიკის გარეთ შეძენილი ავტოტრანსპორტის მომარაგებას. ამის შედეგია, რომ მოთხოვნილება თითქმის ერთიორად აღემატება არსებულ დაგეგმილ ფონდებს.

ხშირად დიდი სიძნელეები იქმნება ამ მანქანების ბენზინით უზრუნველყოფაში.

დამატებითი და გაუთვალისწინებელი ხარჯებია დაკავშირებული აგრეთვე საავტომობილო გზებისა და ავტოსადგომების მშენებლობისა და გაფართოებისათვის.

ეს ყოველივე ხომ რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების მიერ რეალიზებული ავტომანქანების რაოდენობის გათვალისწინებით იგეგმება. მინისტრთა საბჭომ დაავალა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო, აგრეთვე საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომებს მკაცრი კონტროლი დაუწესონ ამ ახალი წესის განუხრელ დაცვას.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: მინისტრთა საბჭოს განკარგულებით რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს ევალება შეისწავლოს და გადაწყვიტოს ავტომანქანებით საკომისიო ვაჭრობის შემდგომი სრულყოფის საკითხები. სახელდობრ, მიმართოს საბჭოთა კავშირის დიდი სამრეწველო ქალაქებისა და მოკავშირე რესპუბლიკების სათანადო ორგანოებს მათთან ზედმეტი სარეალიზაციო მანქანების ჩვენი რესპუბლიკისათვის გადმოცემის შესახებ. ეს კი საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ სტატისტიკაში ავტომანქანების რეალური რაოდენობა, რაც თავის მხრივ შესაძლებელს გახდის უკეთ მოვემსახუროთ კერძო ავტომანქანებს.

— **პატივცემულო გურამ, რა შედეგებს მოელით ასეთი დროებითი აკრძალვისაგან?**

— უპირველეს ყოვლისა, დროებითი აკრძალვა შესაძლებლობას მისცემს რესპუბლიკის სათანადო სამეურნეო ორგანოებს უკეთ მოაწყონ ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებით, საწვავ-საპოხი მასალებით, საჭირო აღჭურვილობით გეგმიანი მომარაგება. იქმნება შესაძლებლობა ზუსტად ვიცოდეთ — რამდენი ავტომობილი გვერიცხება, განვსაზღვროთ მათი საჭიროება. გავითვალისწინოთ კიდევ მათთვის ავტოსადგომებისა და გარაჟების მშენებლობა.

დროებითი აკრძალვა, უდავოა, დადებითად იმოქმედებს ავტოსაგზაო შემთხვევათა შემცირებასა და ტრანსპორტის მოძრაობის უკეთ ორგანიზაციაზეც.

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტენდენციები რომ ტრადიციებად იქცეს

(გაგრძელება)

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ გასულ, 1984 წელს, ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ავტოსაგზაო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლაში. მკითხველებმა იციან, რომ 1983 წელს ჩვენ საბჭოთა კავშირში საუკეთესო მაჩვენებლები გვქონდა გზებსა და ტრასებზე წესრიგის დაცვაში — საქართველოში ყველაზე ნაკლები შემთხვევა მოხდა, ყველაზე ნაკლები იყო მსხვერპლი და დაშავების შემთხვევები. ეს რომ სტიქიური მოვლენა არ იყო, 1984 წელმა დაადასტურა. იმ კარგ, 1983 წელთან შედარებით, კიდევ 104 ერთეულით შემცირდა ავტოსაგზაო შემთხვევათა რაოდენობა, 103-ით ნაკლები დაიღუპა და 96-ით ნაკლები დაშავდა. ჩვენს დიდ მიღწევად მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა ბავშვთა ტრავმატიზმი ტრანსპორტზე.

ეს დადებითი ძვრები იმ დიდი ორგანიზატორული და პრაქტიკული საქმიანობის შედეგია, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ახორციელებს. სწორედ პარტიის მითითებით შეიქმნა ჩვენში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა წინააღმდეგ ბრძოლის მწყობრი სისტემა, რომელსაც მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკური კომისია და მისი სამუშაო ჯგუფი ხელმძღვანელობს.

**— შეიძლება თუ არა ითქვას, რომ საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სრული აღმოფხვრისათვის საჭირო წანამძღვრებია შექმნილი?**

— ასეთი მტკიცება, რა თქმა უნდა, ჯერ ნაადრევია. მართალია ჩვენ მივაღწიეთ გარკვეულ დადებით შედეგებს, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ მჭიდროდ მივუახლოვდით პრობლემის საბოლოო გადაჭრას. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. ამის დასტურია ის ნაკლოვანებები, რომლებიც მოძრაობის ორგანიზაციაში გვაქვს, ის უარყოფითი მოვლენები, რომლებიც საერთო დადებითი მონაცემებით იფარება. კარგი მდგომარეობაა მთლიანად რესპუბლიკაში, ბევრ ქალაქსა და რაიონში. მაგრამ ეს საკითხის გადაწყვეტა როდია. მაგალითად, აბაშის, ასპინძის, გორის, მაიაკოვსკის, ცაგერის, წალკის რაიონებში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა თითქმის ყველა მონაცემი მნიშვნელოვნად გაუარესებულია, ამ რეგიონების შესაბამისმა ორგანოებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ვერ გამონახეს საშუალებები გზებსა და ტრასებზე სათანადო წესრიგის დასამყარებლად.

დადებითი შედეგები, რომელთა შესახებაც ვისაუბრეთ, ძირითადად სახელმწიფო ტრანსპორტის ხარჯზეა მიღწეული. ამავე დროს ავტომობილების კერძო მფლობელებთან მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. ავიღოთ ასეთი ფაქტი — შარშან კერძო მფლობელებმა მოახდინეს მეტი შემთხვევა, ვიდრე 1983 წელს, მოყვარულთა მიზეზით გამოწვეულ შემთხვევათა შედეგად 98 კაცით მეტი დაშავდა. აი, ეს მომენტიც არის გათვალისწინებული მინისტრთა საბჭოს 15 იანვრის განკარგულებაში.

სხვათა შორის სწორედ ავტომოყვარულთა შორის ვლინდება მთვრალი მძღოლების უდიდესი რაოდენობა, სწორედ ისინი არღვევენ ყველაზე ხშირად მოძრაობის წესებს, დაჯირითობენ სამუშაო საათებში. ასეთი ფაქტები ჩვენი მუშაობის სისუსტესაც მოწმობს და ამიტომ, გასაგებია, უკვე მიმდინარე წლიდან შევეცდებით გაცილებით მეტი ყურადღება დავუთმოთ იმას, რომ ავტომოყვარულები იცავდნენ დისციპლინის ყველა მოთხოვნას.

კიდევ ერთი რამ. ბევრჯერ თქმულა და დღესაც უნდა გავიმეოროთ, რომ ჯერ კიდევ არ არის მოხსნილი დღის წესრიგიდან სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკების მორალური სიწმინდის საკითხი.

როგორც ხედავთ, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია და თუ დროულად არ მივიღებთ სათანადო ზომებს, დადებითი ტენდენციები მკვიდრ ტრადიციებად ვერ იქცევა.

## ღია პარტიულ კრებაზე

18 იანვარს გაიმართა შს სამინისტროს ერთ-ერთი განყოფილების ღია პარტიული კრება, რომელმაც მოისმინა და განიხილა განყოფილების უფროსის, მილიციის პოდპოლკოვნიკის ე. მაჩხანელის მოხსენება 1984 წლის შედეგებზე. კამათში გამოვიდნენ ქვეგანყოფილების უფროსები: ა. კუჭავა, ვ. თავბერიძე, ჯ. იაშვილი, ი. შეყლაშვილი და სხვ.

საქართველოს სსრ შს სამინისტროს კოლეგიისა და პოლიტიკური განყოფილების მიმართვის ტექსტი დამსწრეთ გააცნო შს მინისტრის მოადგილემ, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორმა ბ. ი. სერიოდკინმა.

კრებამ მიიღო დადგენილება, სადაც აღნიშნულია, რომ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიისა და პოლიტიკური განყოფილების მიმართვა რესპუბლიკის შს სამინისტროს ორგანოებისა და დანაყოფების ხელმძღვანელების, პოლიტმუშაკების, კომუნისტების, კომკავშირლებისა და მთელი პირადი შემადგენლობისათვის მიღებული იქნას როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტი სამსახურებრივ საქმიანობაში. კრებაზე აგრეთვე მიღებულ იქნა განყოფილების პირადი შემადგენლობის სოციალისტური ვალდებულება 1985 წლისათვის.



სურათზე: კრების პრეზიდიუმი.
ტ. ტარიელაშვილის ფოტო.

## განიხილეს დანაშაულებათა კონკრეტული ფაქტები

ამ დღეებში საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში ჩატარდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის ერთობლივი გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი ოლეგ მაზიუკოვისა და არასრულწლოვანების — გენადი შვირკოვის, კონსტანტინე კოსტანიანის, არტურ ვართანოვისა და ედუარდ ავაქიანის დანაშაულებრივ ქმედებათა შესახებ.

სხდომაზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგემ ა. შარაშიძემ.

1984 წლის 3 ნოემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს მუშაკებმა დააკავეს არასრულწლოვანები: გ. შვირკოვი, კ. კოსტანიანი, ე. ავაქიანი და ა. ვართანოვი, რომლებმაც 30 სექტემბრიდან 2 ნოემბრამდე ჩაიდინეს სისხლის სამართლის ექვსი დანაშაული. სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული დანაშაულებრივი ჯგუფის მეხუთე წევრი — 18 წლის ო. მაზიუკოვიც, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ჯგუფის მიერ ჩადენილ ბოლო სამ დანაშაულში.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის ერთობლივმა გაფართოებულმა სხდომამ იმსჯელა თბილისის 83-ე, 82-ე ზაშუალო, №34 მუშა-ახალგაზრდობის სკოლების, თბილისის 8-წლიანი სკოლა-ინტერნატის, №85 და №71 პროფტექნიკური სასწავლებლების, სადაც ეს ახალგაზრდები სწავლობდნენ, ხელმძღვანელობისა და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში არსებულ ხარვეზებზე, აღნიშნულ არასრულწლოვანებთან შინაგან საქმეთა წლოვანთა საქმეების ინსპექციაში ჩატარებული პროფილაქტიკური მუშაობის უსუსურობასა და არასისტემურობაზე, მათი ბედით დაუინტერესებლობაზე, რაც რატომღაც, საერთო განწყობილებად ჰქონდათ ქცეული ახალგაზრდების აღზრდა-განვითარებაში მონაწილე და გვერდით მყოფ ადამიანებს.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის ერთობლივმა გაფართოებულმა სხდომამ, რომელსაც ესწრებოდნენ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პასუხისმგებელი კომკავშირული მუშაკები, რესპუბლიკის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა განყოფილებების თანამშრომლები, პრინციპული შეფასება მისცა ახალგაზრდების მიერ ჩადენილ დანაშაულსა და მათ ოჯახებში არსებულ არაკეთილსაიმედო ვითარებას.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ და სიტყვებით გამოვიდნენ: რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე ვ. შარაშენიძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამმართველოს უფროსის მოადგილე გ. შონია, განათლების სამინისტროს იდეურ-აღმზრდელობითი სამმართველოს უფროსი ე. ზარქუა, შინაგან საქმეთა თბილისის სამმართველოს უფროსის მოადგილე დ. მიქაძე და სხვ.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის ერთობლივი გაფართოებული სხდომა შეაჯამეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გ. გვეტაძემ და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ლორთქიფანიძემ.

# НАВСТРЕЧУ ВЫБОРАМ

Началась важная политическая кампания—подготовка к выборам в Верховный Совет Грузинской ССР и местные советы народных депутатов республики, которые состоятся 24 февраля 1985 года.

Это событие совпадает с годом активной подготовки к XXVII съезду КПСС и 40-летию Победы Советского народа в Великой Отечественной войне.

Власть Советов открыла огромные возможности для участия трудящихся в управлении государственными, производственными и общественными делами. В состав высших органов власти республики, в местные советы входят лучшие представители рабочего класса, крестьянства и интеллигенции, коммунисты и беспартийные, люди разных национальностей. Советы имеют все необходимое, чтобы конкретно и плодотворно влиять на ход хозяйственного и социального строительства. Впечатляющим свидетельством этого являются достижения в развитии экономики, науки и культуры. За годы текущей пятилетки коллективы промышленности республики реализовали сверх плана продукции на сотни миллионов рублей.

— Все наши усилия по ускорению развития экономики,—подчеркнул в своей речи на заседании Политбюро ЦК КПСС товарищ К. У. Черненко, в конечном счете направлены на то, чтобы иметь возможность больше средств выделять на социальные нужды, быстрее повышать жизненный уровень населения. Собственно на это и нацелены наши планы.

Лучше хозяйствовать, эффективнее использовать ресурсы, работать более результативно — эта задача воспринимается трудящимися Грузии как и всем народом страны, как руководство к действию.

В решении этих насущных задач немаловажная роль принадлежит и органам внутренних дел. Кто, как не работники милиции, облаченные высоким доверием и наделенные большими полномочиями, могут надежно обеспечивать высокопроизводительный творческий труд советских людей, охрану общественного порядка. Взаимодействуя с общественными формированиями, они обязаны всемерно способствовать поддержанию атмосферы бережливости, рачительности, оптимального режима экономии во всех сферах народного хозяйства.

В нынешнем составе депутатов — тысячи представителей милиции. Поэтому важно, чтобы избирательная кампания стала взыскательным смотром их деятельности на посту народных избранников. Сейчас необходимо сделать все для того, чтобы завершить выполнение наказов избирателей, сполна удовлетворить запросы, волнующие и заботящие людей.

Используя богатый опыт, приобретенный в период прошлых избирательных кампаний, партийные организации органов и подразделений внутренних дел призваны умело направлять усилия всего идеологического актива, стенной печати, культурно-просветительной работы на широкое разъяснение внутренней и внешней политики нашей партии и советского правительства.

Хорошо зарекомендовали себя в этом отношении выступления перед избирателями руководящих работников, вечера вопросов и ответов, устные журналы, читательские и зрительские конференции, встречи с ветеранами войны и труда, отличниками милиции. Нужно подчинить имеющиеся средства тому, чтобы дойти до каждого человека, сделать близкими и понятными требования политики партии, показать, что именно эта политика отвечает жизненным интересам народа.

С этой целью необходимо активизировать работу агитпунктов, обеспечить их соответствующим инвентарем и наглядной агитацией, снабдить литературой, газетами, журналами, телевизорами, радиоприемниками. Следует позаботиться о том, чтобы агитколлективы состояли из подготовленных людей, хорошо разбирающихся в современных экономических и общеполитических проблемах. С помощью специалистов надо повсеместно организовать консультации на политические, экономические, правовые и другие нормы.

Советские люди, которым Конситуция СССР гарантирует широкие права и свободы, с оптимизмом смотрят в будущее. Нет сомнения, что предстоящие выборы в Верховный Совет Грузинской ССР и местные Советы народных депутатов станут еще одним ярким появлением идейно-политического единства нашего народа в борьбе за совершенствование развитого социалистического общества, сохранение мира на Земле.

ეროვნული ბიბლიოთეკა

К 40-ЛЕТИЮ ПОБЕДЫ

# С ЛЮБОВЬЮ К ЛЮДЯМ

19 июня они сдавали последний экзамен. Впереди был выпускной вечер, напутственные слова преподавателей, а потом чемоданное настроение, проводы — и разойдутся пути - дорожки выпускников Тбилисского государственного медицинского института по всей республике. Счастливы были ребята, еще бы — им предстояла настоящая и такая нужная людям работа.

Николай Барнов в те дни счастлив был вдвойне. Исполнилась его заветная мечта — распределили в Сванетию. Но не знал он тогда, что не суждено ей было сбыться. Через два дня началась война.

Словно карточный домик рухнули прежние мечты, надежды. Появилась новая мечта — скорее бы на фронт, новая надежда — скорее бы победа. «На фронт» — эта мысль не давала покоя Николаю. Каждый день он внимательно слушал фронтовые сводки, мог часами обсуждать их с товарищами, но всегда разговоры заканчивались одним: «Поскорее бы нас на фронт». Они боялись опоздать. Эти двадцатидвухлетние ребята, в сущности еще мальчишки, не знали, что такое фронт, что такое война.

Лицо ее Николай увидел совсем скоро, но не на поле боя, а в тылу, в Харькове, на железнодорожном вокзале. Молодых офицеров медицинской службы привезли сюда перед отправкой на фронт. И только здесь они поняли, что это такое — война. Огромные толпы людей, измученные, исхудалые лица беженцев, боль и отчаяние в их глазах и этот детский плач. Долго еще слышался он молодому солдату.

Но самое страшное было впереди: разрушенныегорода и деревни, искалеченные солдаты, сожженные и погребенные заживо люди... Но даже увиденного им в Харькове было достаточно, чтобы у Николая возникло непреодолимое, жгучее желание поскорее схлестнуться с той огромной, но такой ненавистной силой.

Случилось это в августе под Каневом. Разведывательный батальон, в котором начал свою фронтовую службу Николай Барнов, стоял в лесу. Неподалеку расположились фашисты. И вот однажды самолет противника засек позиции наших войск.

— Это означало, что не пройдет и часа, как на наши головы посыплются вражеские бомбы, — вспоминает Николай Васильевич свой первый бой. — Нам ничего не оставалось, как покинуть свои позиции. Но уйти просто так было равносильно бегству. Тогда наш комбат Воробьев предпринял очень ловкий маневр. Мы специально раскрылись немцам и вызвали их огонь на себя, затем, отступая, заманили в наш лес. Теперь нам оставалось только ждать, когда на головы фашистам посыплются их же бомбы.

В том же августе 41-го Николая ранило. После выздоровления он снова попал в военно — полевой госпиталь, но теперь уже на службу. Был сначала ординатором, потом начальником отделения. Тяжело было молодому парню. Работать приходилось и день, и ночь. Сколько на его счету спасенных жизней никем не подсчитано, и сколько надежд он вернул людям, тоже никто не считал. Но, в конце концов, не это главное. Главное то, что в солдатских сердцах на всю жизнь сохранилась благодарность к тому симпатичному молодому военному врачу за то, что вернул их в строй, дал силы для борьбы с врагом.

Порой же, приходилось не только со скальпелем в руках спасать жизнь раненных солдат. Однажды, во время наступления немцев под Сталинградом, пришлось срочно эвакуировать госпиталь. Николай Барнов с тридцатью раненными солдатами пробирались лесом. Ночью вышли на берег Волги. Здесь их ожидала неминуемая смерть. Спасение было там, на том берегу. Но как переправиться через Волгу? Вплавь? Немыслимо. И тут в голову пришла идея: соорудить плот. За дело взялись дружно и через полчаса плот из поваленных деревьев и досок был готов. На середине реки фашисты засекли их. Начался обстрел, но, к счастью, ни одна бомба в плот не попала.

На другой день отважного лейтенанта вызвал к себе командующий 4-м Украинским фронтом, генерал-полковник Толбухин. Вышел тогда от генерала Николай как на крыльях — ему дали отпуск на две недели! Не знал он тогда, что его, одного из первых среди военных врачей 4-го Украинского фронта, еще и представили к награде — ордену Красной Звезды.

Радостные,, счастливые дни провел он дома, в кругу родных и близких. Но были и грустные минуты, когда Николай ходил по тем местам, где любили они ходить с друзьями. Никого из них не было в городе. Где они теперь? Что с ними?

Часто приходили в те дни соседи и знакомые к Барновым. Весть о том, что приехал с фронта Николай, быстро разлетелась по всему городу. Могли часами слушать его рассказы о фронтовых буднях, о наших солдатах, об их героизме. И часто ловили себя на мысли: что-то изменилось в Николае, возмужал не по годам.

Быстро, очень быстро пролетели отпускные дни. И снова фронтовой госпиталь, фронтовые дороги. Закончил войну Н. Барнов в чехословацком городе Моравская Острава, где наши войска до 16-го мая добивали последние остатки эсэсовцев. А за плечами были дороги Украины, Венгрии, Польши, Чехословакии.

Вернулся домой Николай Барнов уже майором. На кителе красовались орден Красной Звезды и Отечественной войны II-й степени, медаль «За боевые заслуги». И после войны он остался верен своей профессии врача. С 1956 года Н. Барнов бессменно занимает должность начальника медицинского отдела МВД ГССР. За эти годы Николая Васильевича два раза награждали орденом «Знак Почета». Это говорит о том, что и в мирные дни, как и там, на фронте, он все свои знания и силы отдает любимому делу, всегда стоит на страже здоровья и счастья людей.

В. МИРОШНИЧЕНКО.

ახალგაზრდა სპეციალისტის დასახმარებლად

# პირველადი მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა

მომხდარი დანაშაულის ან ასეთის მზადების შესახებ შემოსული განცხადებების ან ცნობის შემოწმების სწორ ორგანიზაციას და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადაწყვეტას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის შემდგომი მსვლელობის ბედზე, მის სწრაფ, სრულ, ყოველმხრივ გახსნასა და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის. ამ საკითხების სწორად გადაწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული აგრეთვე მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების დამნაშავეობასთან ბრძოლის ამოცანების წარმატებით განხორციელება.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრა არის პროცესის პირველი და დამოუკიდებელი სტადია. იგი არის მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების წარმოების დაწყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინა ეტაპი, რომელიც თავის პროცესუალურ გამოხატულებას პოულობს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების გამოტანაში. ასეთი დადგენილება, შეიძლება ითქვას, მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებისათვის არის საგზური, რომლის ძალითაც ისინი უფლებამოსილნი ხდებიან მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე აწარმოონ წინასწარი გამოძიება.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოიცავს არა მარტო დადგენილებას სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე, არამედ აგრეთვე მომხდარი დანაშაულის ან ასეთის მზადების შესახებ შემოსული პირველადი მასალებისა და გამოვლინებული დანაშაულის ნიშნების შემოწმების ღონისძიებათა მთელ კომპლექსაც, რომლის შემდეგ კომპეტენტური ორგანოები წყვეტენ საკითხს მოპოვებული მასალების საფუძველზე — მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან არ აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

ამრიგად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ იწყება მოკვლევა და წინასწარი გამოძიება ყოველ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე. ამიტომ, მომხდარი დანაშაულის ან ასეთის მზადების შესახებ შემოსული პირველადი მასალების შემოწმების მიზნით მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებს, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, უფლება არა აქვთ აწარმოონ რაიმე სახის საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება, გარდა შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა, ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი გადადება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, არასწორად უნდა ჩაითვალოს პრაქტიკაში შემჩნეული ისეთი შემთხვევები, როდესაც მომხდარი დანაშაულის ან ასეთის მცდელობის შესახებ შემოსული ცნობის ან განცხადების შემოწმების მიზნით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე ატარებენ ჩხრეკას, დაკითხვას, ექსპერტიზის დანიშვნას, დაპირისპირებას და სხვა საგამოძიებო მოქმედებას. შემოსული სიგნალების ასეთი გზით შემოწმება სხვა არა არის რა, თუ არა კანონის უხეში დარღვევა.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამისათვის არსებობს კანონიერი საბაბი და საფუძველი. საქმის აღძვრის კანონიერი საფუძველია ის ფაქტიური მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედობის ნიშნების არსებობაზე. საქმის აღძვრის საბაბი კი არის ჩადენილი დანაშაულის ან ასეთის მზადების შესახებ მიღებული ცოდნა ან მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს მიერ დანაშაულის ნიშნების უშუალო გამომჟღავნება, განცხადების ან ცნობის სახით მიღებული ინფორმაციის წყარო ანუ საქართველოს სსრ სსსკ 108-ე მუხლში ჩამოთვლილი შემდეგი გარემოებები: 1. მოქალაქის განცხადება 2. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულებისა და თანამდებობის პირის მიერ მოწოდებული ცნობა. 3. პრესაში გამოქვეყნებული ცნობა. 4. პირის გამოცხადება ბრალის აღიარებით. 5. მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს ან მოსამართლის მიერ დანაშაულის ნიშნების უშუალოდ გამომჟღავნება.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბი და საფუძველი ერთიმეორესთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ერთ-ერთი მათგანის არარსებობა იწვევს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე თავის შეკავებას, ე. ი. სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას თუკი ამისთვის არ მოიპოვება კანონიერი საბაბი და საფუძველი. მაგრამ იმისათვის, რომ მოვიპოვოთ საქმის აღძვრისათვის საჭირო კანონიერი საფუძველი, რიგ შემთხვევებში, აუცილებელია მიღებული ინფორმაციის ფრთხილი და სრული შემოწმება.

პროკურატურის ან შინაგან საქმეთა ორგანოებში შემოსული პირველადი მასალების მიღება-განხილვას, როგორც წესი, აწარმოებს პროკურორი ან მისი მოადგილე, პროკურორის თანაშემწეები, მილიციის განყოფილების უფროსი ან მისი მოადგილეები, საგამოძიებო განყოფილების უფროსი ან მისი მოადგილე. ამ პირებს, ან მათზე ზემდგომ თანამდებობის პირებს, უფლება აქვთ ასეთი შემოსული განცხადების ან ცნობის შემოწმება დაავალონ შესაბამისი თანამდებობის პირებს და შემოწმების შესრულებაზე დააწესონ სათანადო კონტროლი. პროკურატურაში შემოსული ასეთი მასალის განხილვა — შემოწმება ზოგჯერ შეიძლება აწარმოოს უშუალოდ გამომძიებელმაც, თუკი ადგილზე არ იქნება პროკურორი, მოადგილე ან თანაშემწე, ან თუ ასეთ მასალას პირდაპირი კავშირი აქვს გამომძიებლის წარმოებაში მყოფ საქმესთან. ამის შესაბამისად ასეთი მასალის შემოწმება შინაგან საქმეთა განყოფილების ან პროკურორის დავალების გარეშეც შეიძლება აწარმოოს ამ ორგანოში მომუშავე სათანადო თანამდებობის პირმა, თუკი მასალა მან პირადად მიიღო.

აღნიშნული საკითხის განხილვასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორ უნდა მოხდეს ამ პირველადი მასალების შემოწმება — საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებით თუ სხვა სახის ღონისძიებებით? ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხობს საქართველოს სსრ სსსკ 110-ე მუხლი, რომლის თანახმადაც პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევი პირი და მოსამართლე უფლებამოსილნი არიან შემოსული განცხადების ან ცნობის, შემოწმების მიზნით გამოითხოვონ საჭირო მასალა და მიიღონ ახსნა-განმარტებები, მხოლოდ „ამ კოდექსით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების არეში". ამავე მუხლით დადგენილია, რომ ასეთი პირველადი მასალების შემოწმება უნდა მოხდეს „ვადაში არა უმეტეს ათი დღისა" და მიღებული იქნეს „საჭირო ღონისძიებანი დანაშაულის შეწყვეტის ან აღკვეთისათვის".

ამრიგად, პირველადი მასალების შემოწმების მიზნით კანონით ნებადართულია მხოლოდ მომხდარ გამოსაკვლევ ფაქტთან დაკავშირებით მასალების გამოთხოვა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება და სათანადო პირებისაგან ახსნა-განმარტების მიღება. პრაქტიკაში დამკვიდრებული იქნა აგრეთვე შემოწმების ისეთი ტაქტიკური ხერხები, როგორიცაა: რევიზიისა და ინვენტარიზაციის ჩატარება, თანამდებობის პირთა საქმიანობის კომპლექსური შემოწმება, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა წარმოება, დოკუმენტების დათვალიერება. საჭირო საკითხებზე სპეციალისტებისგან სათანადო კონსულტაციისა და წერილობითი დასკვნების მიღება. ასეთი გზით მიღებული მონაცემების საფუძველზე მასალების შემოწმების დაწყებიდან არა უგვიანეს ათი დღისა, უნდა გადაწყდეს საკითხი მოცემულ ფაქტზე საქმის აღძვრის ან არ აღძვრის შესახებ. რაც შეეხება არაპროცესუალური წყაროებიდან მიღებული სიგნალების შემოწმებას, რომელიც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებით სწარმოებს, მათზე არ ვრცელდება კანონით დადგენილი ზემოთაღნიშნული ათდღიანი ვადა.

იმ შემთხვევაში, როდესაც მომკვლევი პირი, გამომძიებელი ან პროკურორი დარწმუნდება, რომ პირველადი მასალების ასეთი შემოწმებით მიღებული მონაცემები შეიცავს დანაშაულის საკმაო, უტყუარ ნიშნებს, მაშინ მან დაუყოვნებლივ უნდა გამოიტანოს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ. ხოლო თუ შემოწმებით მიღებული მონაცემებით გაირკვევა, რომ აღნიშნული ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს ან დადგინდება სხვა ისეთი გარემოება, რომელიც გამორიცხავს სისხლის სამართლის წარმოებას ან, თუ შემოსული განცხადებიდან ან ცნობიდან ჩანს, რომ არ არსებობს საფუძველი საქმის აღძვრისათვის, მაშინ საქართველოს სსრ სსსკ 114-ე მუხლის თანახმად გამოტანილი უნდა იქნეს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ და იგი უნდა ეცნობოს დაინტერესებულ პირს ან დაწესებულებას. დაუშვებელია პირველადი მასალების შემოწმების შედეგად მისი ჩამოწერა პატაკით ან შს განყოფილების უფროსის რეზოლუციით „საქმეში", როგორც ზოგჯერ ამას ადგილი აქვს პრაქტიკაში. თუ პირველად მასალებში მოიპოვება მონაცემები ადმინისტრაციული ან დისციპლინარული გადაცდომის ან საზოგადოებრივი წესრიგის ან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების სხვაგვარი დარღვევის შესახებ, მაშინ ასეთი მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის გამო შემოსული განცხადება ან ცნობა შეიძლება განსახილველად გადაეგზავნოს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ამხანაგურ სასამართლოს, მშრომელთა კოლექტივს ან წარმართოს ადმინისტრაციული ან დისციპლინარული წესით განსახილველად.

ფაფიაშვილი.
თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი.

НА ВАШУ КНИЖНУЮ ПОЛКУ

# ТРУД О ВЕЛИКОМ ПОДВИГЕ

Вышел в свет однотомник «Великая Отечественная война Советского Союза 1941 — 1945. Краткая история», подготовленный к 40-летию Великой Победы Институтом марксизма-ленинизма при ЦК КПСС.

В книге рассказывается о важнейших событиях Великой Отечественной войны, о руководящей роли Коммунистической партии в борьбе советского народа и его Вооруженных Сил за свободу и независимость социалистической Родины, за освобождение порабощенных фашизмом народов. Страна Советов внесла решающий вклад в разгром гитлеровской Германии и ее союзников. В труде раскрываются источники и всемирно-историческое значение победы Советского Союза над гитлеровским фашизмом.

В книге показана роль СССР в укреплении демократических сил, в образовании мировой социалистической системы. Она призывает народы быть бдительными к агрессивным проискам империализма, умножать усилия в борьбе за мир, за предотвращение мировой термоядерной войны.

Однотомник иллюстрирован фотоматериалами, картами, схемами.

Книга выпущена Военным издательством Министерства обороны СССР и рассчитана на широкий круг читателей.

# პედაგოგები მილიციელის სამხრეებით

სვანეთის მთების შვილია ავთანდილ ლიპარტელიანი, იმ მთებივით შეუდრეკელი, ამაყი და საოცრად ჰუმანური. „ადამიანი უბრალოებით ფასდებაო“, სწორედ მასზე შეიძლება ითქვას. არც იუმორი აკლია. საუბრით გიპყრობს, დამყოლსა და დამჯერეს ხდის ანც პატარებს.

საკმაოდ რთულია არასრულწლოვანებთან მუშაობა. იგი მოითხოვს მოზარდისადმი პედაგოგიურ მიდგომას, სიახლოვეს, მათს ჩაბმას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, სექციურ მუშაობაში.

ა. ლიპარტელიანმა თბილისის მილიციის საშუალო-სპეციალური სკოლა დაამთავრა 1977 წელს (ამჟამად მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფილიალი) და განაწილებით დედაქალაქის კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში გაგზავნეს.

სულ ორი წელია, რაც იგი კიროვის რაიონის არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორია. ამ ხნის განმავლობაში მის სამოქმედო უბანზე არც ერთი დანაშაული არ მომხდარა.

მას მხარში უდგას გამოცდილი მუშაკი, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორი ირინა ბალიაშვილი.

ირინემ ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებელი დაამთავრა და მილიციაში მუშაობა თავისი სურვილით დაიწყო. იცოდა სადაც მიდიოდა სამუშაოდ. ღამეების ტეხვაც მოუხდებოდა და სხვადასხვა ეროვნების ბავშვებთან ურთიერთობაც. იგი ენერგიულად შეუდგა თავის საქმეს და აღსანიშნავია, რომ მის სამოქმედო უბანზე არც ერთი დანაშაული არ მომხდარა.

აქვე გავიცანით არასრულწლოვანთა ინსპექციის უფროსი ვახტანგ პაპაშვილი. მან პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. მილიციაში სამუშაოდ იგი კომკავშირის რაიკომის რეკომენდაციით გაგზავნეს. მან კარგად იცის ბავშვებთან მიდგომის ხერხები და მეთოდები, დაწყებული საქმე ბოლომდე მიყავს და პატარა აღსაზრდელებიც ყოველთვის გულახდილად არიან მასთან, როგორც ახლობელს, სიყვარულითა და მორიდებით უყურებენ მას.

...ოთახში სამი არასრულწლოვანი შემოიყვანეს. ისინი ქუჩაში უსაქმოდ დაეხეტებოდნენ.

— გასართობი არაფერი გაქვთ? — ჰკითხა მათ ირინემ

ბიჭებმა თავები ჩაქინდრეს.

— რომელ კლასში ხართ? — შეეკითხა ირინე ბიჭებს, შემდეგ წიგნების თაროსთან მივიდა, რამდენიმე დასურათებული წიგნი გადმოიღო და საჩუქრად მისცა. — ოღონდ უსაქმოდ ნუ გაჩერდებით! თან გააფრთხილა.

ასე მუშაობენ ქ. თბილისის კიროვის რაიონის არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორები ირინე ბალიაშვილი და ავთანდილ ლიპარტელიანი, მათ საქმიანობას კონტროლს უწევს ინსპექციის უფროსი ვახტანგ პაპაშვილი.

ვუსურვებთ კიროვის შს არასრულწლოვანთა ინსპექციის მუშაკებს პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე მყოფი ძნელადაღსაზრდელები დროულად ჩაბმულიყვნენ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში.

შ. ჯიხვაშვილი.

## ცხელ კვალზე

**ხაშური.**

ხაშურის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების საგამომძიებლო ქვეგანყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ხაშურის „ქალაქვაჭრობის“ № 73 მაღაზიიდან სახელმწიფო ქონების ქურდობის ფაქტზე.

ქურდობა ჩაიდინა დავით მჭედლიშვილმა, იგი 1952 წელსაა დაბადებული, ცხოვრობს ხაშურის რაიონის სოფელ რუსანთუბანში, ადრე ნასამართლევია მოქალაქეთა ქურდობისათვის. ამჯერად ხელმეორედ ჩაიდინა ქურდობა, ნასვამ მდგომარეობაში მოახდინა სახელმწიფო ქონების ფარული დატაცება მაღაზიაში შეღწევით; კერძოდ, დაახლოებით სამ საათზე ქვის დარტყმით ჩაამტვრია ქ. ხაშურის მინის ტარის ქარხნის დასახლებაში მდებარე, ქალაქვაჭრობის № 73 მაღაზია, საიდანაც გაიტაცა 975 მანეთი და 05 კაპ. ღირებულების სახელმწიფო საქონელი, რომელიც გადამალა ხაშურ-ქვიშხეთის რკინიგზის ხაზის გასწვრივ არსებულ გამწვანებულ ზოლში, მაგრამ დაკავებული იქნა იმავე დღის 12 საათზე, რის შედეგადაც ზემოაღნიშნული სამალავი ადგილიდან ამოღებული იქნა მაღაზიიდან დატაცებული საქონელი.

დამნაშავის დაკავებაში მონაწილეობდნენ ხაშურის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე მილიციის მაიორი გ. ქიმერიძე, სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი კ. ძირტკბილაშვილი ო. გარიშვილი საგამომძიებლო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი, ზ. ლურსმანაშვილი არასაუწყებო ხაზით მომუშავე უბნის ინსპექტორი. მილიციის კაპიტანი, ე. იორამაშვილი უბნის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი, ა. გოგოლაძე, სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფლებამოსილი რწმუნებული.

**თიანეთი.**

თიანეთში დაკავებული იქნა „საქკომსოფლტექნიკის“ მძღოლი გ. ზარიძე. დაბადებული 1934 წელს, უპარტიო, ცოლშვილიანი, თიანეთის რაიონის სოფელ საყდრიონის მკვიდრი. მან ქ. თბილისის ნავთობბაზაში მიიღო 3553 კგ დიზელის საწვავი, რომელიც უნდა მიეტანა თიანეთის რაიონის ტუშურების საბჭოთა მეურნეობაში. მან იმავე დღეს გაყიდა საწვავი და მეურნეობაში „ხელცარიელი“ დაბრუნდა.

ოპერატიული მუშაკების ზ. ციმაკურიძის, გ. კიკვაძის, საგზაო-საპატრულო სამსახურის ინსპექტორების გ. ბიკაშვილის და რ. სურამელის საზრიანმა მოქმედებამ ნათელი მოფინა დანაშაულს.

სპორტი

## აღზრდის საუკეთესო საშუალება

**მოზარდი თაობის კომუნისტური იდეებით აღჭურვილი მოქალაქეების ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ენიჭება ახალგაზრდობის მორალურ-ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მომზადებას ამიტომ საჭიროა სპორტულ ცხოვრებაში ჩავაბათ რაც შეიძლება მეტი მოზარდი, ძნელადაღსაზრდელი არასრულწლოვანები.**

**ბოლო წლებში დამკვიდრდა ახალი ტრადიცია — სახელოვან სპორტსმენთა სახელობის კლუბების ჩამოყალიბება. ამჯერად მოგითხრობთ ქ. თბილისის ლენინის რაიონის შს რაიგანყოფილების უბნის უფროსი ინსპექტორის, მილიციის მაიორის თ. ლაკიას სახელობის კლუბზე.**

**თბილისის** ლენინის რაიონის № 2 საბინაო-საექსპლუატაციო უბანზე 1983 წლის 25 ნოემბერს ჩამოყალიბდა თ. ლაკიას სახელობის კლუბი. კლუბს შედგენილი აქვს სექციების მუშაობის სპეციალური გეგმა-გრაფიკი რომლის შესრულებას აკონტროლებს პედაგოგ-ორგანიზატორი მ. ჯიბლაძე. თ. ლაკიას გვერდში ამოუდგნენ საქმის მცოდნე მწვრთნელები კ. დოლიძე, მ. ესებუა, ზ. ხაიაური, რომლებიც სათავეში უდგანან ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის სექციებს; სროლაში კი მოზარდებს მილიციის მაიორი თ. ლაკია ავარჯიშებს. მიუხედავად ძალზე დატვირთული სამუშაო დღისა იგი მაინც ასწრებს უხელმძღვანელოს რაიონში ჩატარებულ სპორტულ-მასობრივ ღონისძიებებს, კლუბის მუშაობას. ამის გარდა იგი წარმატებით გამოდის საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. სსრ კავშირში პირველი სპორტის ოსტატი საბრძოლო იარაღიდან სროლაში თ. ლაკია 4-ჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, 1983 წელს გაიმარჯვა სოციალისტური ქვეყნების შს ორგანოების სპორტსმენთა შეჯიბრებაზე საბრძოლო იარაღიდან სროლაში.

თ. ლაკიამ თავისი შრომისმოყვარეობით, საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა. განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს იგი მოზარდთა შორის რომლებიც ყურადღებით უსმენენ თავისი დამრიგებლის შენიშვნებს და ცდილობენ არაფერში ჩამორჩნენ ერთმანეთს. საერთო საქმისადმი ასეთმა თავდადებამ შედეგიც გამოიღო: კლუბმა გაიმარჯვა თბილისის სახელოვან სპორტსმენთა კლუბების პირველ სპარტაკიადაზე, საპრიზო ადგილი მოიპოვა „ტყავის ბურთის“ პრიზზე გამართულ საქალაქო შეჯიბრებაში.

თ: ლაკიას კლუბის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს მათი მასწავლებლის ინიციატივით ჩატარებულ „მხიარული სტარტების“ შეჯიბრებაში, რომელსაც საქართველოს ტელევიზიამ ორი გადაცემა მიუძღვნა.

კლუბი აქტიურად ემზადება თბილისის სპორტულ კლუბებს შორის მე-2 სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად, ფაშისტურ გერმანიაზე დიადი გამარჯვების მე-40 წლისთავთან დაკავშირებით კლუბის წევრები შეხვდებიან ომის მონაწილე სახელოვან სპორტსმენებს, გაზაფხულზე დაგეგმილი აქვთ ამხანაგური შეხვედრები ბათუმის სპორტულ კლუბებთან.

მოზარდებს დიდ დახმარებას უწევენ ლენინის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი დ. ლალანიძე, უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში მილიციის პოდპოლკოვნიკი კ. შუკაკიძე, № 2 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის უფროსი თ. არბოლიშვილი; აგრეთვე შეფები ქარხანა „გაზოაპარატის“ ხელმძღვანელები. მათი დახმარებით გადაწყვეტილი აქვთ ღია სპორტული მოედნების მოწყობა. კარგი იქნება ზამთარში სავარჯიშოდ კლუბის წევრებს დარბაზსაც თუ გამოუყოფენ.

ახალ წარმატებებს ვუსურვებთ კლუბის წევრებს, რომელთა მაგალითი იმედია მომავალში ხელს შეუწყობს მსგავსი კლუბების ჩამოყალიბებას; რაც ახალგაზრდობის ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდის საუკეთესო საშუალებაა.

ა. გოგოლაძე.

**სურათზე:** თ. ლაკია კლუბის წევრებთან.



ДОКУМЕНТАЛЬНЫЙ ОЧЕРК

# Разоблачены и обезврежены

Тбилиси засыпал. Ноябрьский ветер, разгоняя опавшую с деревьев листву, проносился через проходной двор, ведущий на улицу Самтредскую. Манана Ч. возвращалась привычной дорогой домой. Вот осталось пройти этот проходной двор и ты дома. Одинокая лампочка в подворотне скупо осветила хрупкую фигуру в кожанном плаще. Внезапно две неясные тени скользнули по стене. «Что бы это могло быть?» — только успела подумать девушка, как упругое острие ножа кольнуло ее в спину и чьи-то холодные пальцы зажали рот. Секунда — и недоумение сменилось испугом. Поблескивающие в темноте глаза зло смотрели на нее.

Манана не могла понять чего от нее хотят. И лишь после того. как пальцы человека, стоящего перед ней, коснулись ее. она поняла: «Хотят снять плащ».

Лезвие финки вновь кольнуло в спину. С нее стали стаскивать плащ.

— Тамаз, не мешкай, надо смываться, — услышала девушка одну единственную фразу и стояла в растерянной позе, стоящая с невидящими от слез глазами, смотря туда, куда скрывались эти двое.

Через секунду за поворотом взревел мотор машины. Еще секунда — все стихло.

* * *

В Первомайском отделе милиции было тепло и спокойно. Тихо постукивали стенные часы да молча перемигивались лампочки на пульте. Озябшая. в старой фуфайке, любезно предложенной одной из соседок, Манана зашла в дежурную часть. Дежурный внимательно оглядел вошедшую.

— С вами что-нибудь случилось? — спросил он.

— С меня сняли плащ, — чуть не плача, ответила она.

Дежурный не мешкал ни секунды. Получив все необходимые данные о преступниках, он сейчас же передал их по селектору. Буквально через пару минут на место происшествия выехала опергруппа в составе капитана милиции Д. Цикаридзе, оперуполномоченных уголовного розыска майора-милиции З. Гошадзе и лейтенанта милиции А. Чомахидзе.

* * *

Над городом по-прежнему гулял ветер. Часы пробили двенадцать. По набережной, нетерпеливо, посвечивая единственной фарой, ехал мотоциклист. Неожиданно на асфальте что-то блеснуло. Мотоцикл остановился. Сойдя на землю, автоинспектор внимательно посмотрел на разбросанные по асфальту осколки стекла. Внимание привлек разбитый парприз автомашины. Авария произошла недавно. Инспектор точно помнил, что час тому назад, проезжая тут, не видел парприза. Инспектору удалось прочесть выгравированные на стекле цифры — номер машины. Сейчас же заработала рация. В эфир пошли данные о дорожно-транспортном происшествии.

Машина опергруппы прибыла на место происшествия. Следы шин у обочины говорили о наличии машины и направления, куда она скрылась. Опрос соседей позволил узнать несколько цифр ее номера. Собранные данные были срочно переданы в эфир. По истечении нескольких минут опергруппа получила пять адресов хозяев машин, схожих по номеру и марке с машиной преступников. Предстояла кропотливая и осторожная работа. Меньше чем за час были проверены четыре автомашины. Необходимо проверить пятую машину, которая парковала в районе «Африки». Когда машина опергруппы с выключенными фарами подъехала к дому, на светящемся циферблате часов старшего опергруппы стрелки показывали ровно час ночи.

...Как и следовало ожидать, дверь никто не открывал. Разыскиваемой машины также не оказалось на месте. Со слов соседа выяснилось, что владельца машины нет, он в отъезде, а сын его катается на ней. Вечером у него была пирушка. Сосед слышал несколько пьяных выкриков. Затем взревел мотор «Жигулей», и кампания уехала. В работу по розыску преступников подключились все посты. ГАИ. Получил соответствующие указания и тот самый автоинспектор. Мгновенно сориентировавшись, что надо делать, он выехал на место дорожно-транспортного происшествия. Оповещанная им опергруппа прибыла туда почти вместе с ним. Начался детальный осмотр места происшествия. Он показал: в результате лихачества или, вернее, спешки, водитель, не увидев знака «ремонт», перевернул машину. Таким образом, у работников милиции появились новые сведения о ней. По их предположению, после этого машина должна находиться в аварийном состоянии. Неожиданно след привел их в незаметный проулок. Продвигаться дальше было рискованно. Кто знает, преступники могут быть вооружены. Колебание длилось секунды. Двое работников госавтоинспекции вошли в проулок. Пройдя несколько метров, они почти лицом к лицу встретились с преступником. Двое крепко подвыпивших парней молча смотрели на них.

— Эта ваша машина? — спросил один из инспекторов. — Вы попали в аварию, нужно написать акт. Препирания были бесполезны. Да и сами преступники, не опасаясь разоблачения, согласились проехать до ближайшего участка. Ни о чем не подозревая, парни вышли из проулка. И тут же были разоружены, а затем доставлены в райотдел милиции.

Так в кратчайший срок при четкой оперативности работников Первомайского РОВД г. Тбилиси и госавтоинспекции за три часа была обнаружена и обезврежена опасная группа преступников.

Э. САНАДЗЕ.

სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 99-1-41-24. Наш адрес: 380025. ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 03353